პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 ოქტომბერი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 231 (14227)

### სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# სოფლად მშენებლობის მოწესრიგების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სოფლად მშენებლობის მოწესრიგების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო წლებში განხორციელდა დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება, სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომლებიც დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ სოფლად მშენებლობის გაუმჯობესების საქმეს, მიიჩნიათ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, რაიკომებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სასოფლო მშენებლობის დარგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანდათან გადააქციონ დასახლებული პუნქტები კეთილმოწყობილ დაბებად, სადაც იქნება კარგი სამნაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები და შესაბამისი საწარმოები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ყველა პირობა შევქმნათ ნაყოფიერი შრომისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფენ მოსახლეობის დასაქმებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს.

ასეთი კეთილმოწყობილი დაბები უნდა აშენდეს ამ დაბების რაიონული დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განვითარების და მათი საწარმოო სპეციალიზაციის გეგმების საფუძველზე შეიმუშავებენ, აგრეთვე შეთანხმებული უნდა იყოს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებისა და განლაგების პერსპექტიულ გეგმასთან.

მიზანშეწონილად მიჩნეულია უახლოესი 5 წლის განმავლობაში შეიმუშაონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალური კარმიდამების რაიონული დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები, რომლებშიც განსაზღვრულია საწარმოო სპეციალიზაცია, აგრეთვე შეიტანონ საჭირო დაზუსტებანი ადრე შედგენილ პროექტებში.

კეთილმოწყობილი დაბების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს რეკომენდებულია გაითვალისწინონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა პროცესები, მოსახლეობის ეროვნული თავისებურებანი, გარემო ლანდშაფტი. სასოფლო რაიონების დაბები მიმზიდველი უნდა იყოს არქიტექტურული თვალსაზრისით.

სსრ კავშირის სახმშენის სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებს ეკისრებათ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარების პროექტების, დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების ხელმძღვანელობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებული აქვთ წლიურ გეგმებში გაითვალისწინონ შესაბამის სახიუჯეტო ასიგნებათა და ლიმიტების გამოყოფა დაპროექტებისათვის. კოლმეურნეობებს რეკომენდაცია ეძლევათ გაითვალისწინონ მეურნეობათა განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში კოლმეურნეობათა სახსრებით და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტით ცენტრალური კარმიდამოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება.

მიზანშეწონილად მიჩნეულია, რომ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარების, დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების განხილვაში მონაწილეობდნენ ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ სოფლის დასახლებული პუნქტების განაშენიანების ხელმძღვანელობა, ამ საქმეში ამაღლონ მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე მშენებლობისა და არქიტექტურის ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა; შეიმუშაონ და განახორციელონ სოფლად საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ღონისძიებანი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი კოოპერაციული და ინდივიდუალურ-საბინაო მშენებლობის ფართოდ განვითარებას; გადაწყვიტონ სასოფლო ინფრასტრუქტურის საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შტატებში შემოიღონ რაიონული არქიტექტორებისა და ინჟინრების თანამდებობანი — სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექტორთა თანამდებობანი, დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა დამტკიცებული პროექტების შესაბამისად სოფლის დასახლებული პუნქტების სწორი დაგეგმვისა და განაშენიანებისათვის.

სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით 1969 წელს დაამტკიცოს სახინაო სახლებისა და საზოგადოებრივი მშენებლობის დაპროექტების ახალი ნორმები სოფლად მშენებლობისათვის. სასოფლო მშენებლობისათვის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპური პროექტები, როგორ წესი, უნდა შეიმუშაონ რესპუბლიკურმა საპროექტო ორგანიზაციებმა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას წინადადება მიეცათ გააფართოონ მეცნიერული კვლევა სოფლად წარმოების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებათა, სოფლის რაიონებში ადამიანთა დასახლების დარგში, აგრეთვე აწარმოონ სოფლის გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაწყვეტასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაევალათ მოაწყონ დაბების კომპლექსური ექსპერიმენტული საჩვენებელი მშენებლობა, უზრუნველყონ 1969-1975 წლებში ყოველ ოლქში, მხარეს და ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთი-ორი ასეთი დაბის განაშენიანება.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ერთიანი გეგმით შექმნან საწარმოო-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას სასოფლო მშენებლობაში და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალათ მოაწყონ მუშაობა, რათა კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები მიიზიდონ და ასწავლონ სამშენებლო სპეციალობები შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მშენებლობაში მათი მონაწილეობისათვის.

მიზანშეწონილად მიჩნეულია, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასა და სახალხო მეურნეობის მიღწევათა რესპუბლიკურ გამოფენებზე ფართოდ აჩვენონ სასოფლო დასახლებული პუნქტების გარდაქმნის მოწინავე გამოცდილება, აგრეთვე ფართოდ გააშუქონ სასოფლო მშენებლობის მოწინავე გამოცდილება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთან, სამშენებლო საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების კოლექტივებთან ერთად თავიანთ შემოქმედებითს ძალებს მოახმარენ სოფლად საწარმოო, სახინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ძირეულ გაუმჯობესებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბების კეთილმოწყობას.

### უპასუხისმგებლობა აფხაზეთის ასსრ

| გეგმა | შესრულება | ვალდებულება |
|---|---|---|
| 36.835 ტ. | 36.849,5 ტ. | 1.000 ტ. |

### სასახელოდ შეეასრულოთ ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება!

ასეთია აფხაზეთის მეჩაიეთა გადაწყვეტილება.

სურათებზე: წარჩინებული მეჩაიეები — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ემთერ ვეპაუა და გალის რაიონის სოფელ შეშელეთის კოლმეურნეობის მერგოლური ზოია ხურცილავა, რომლებმაც ჩაის კრეფის წლიური გეგმა და ვალდებულება წარმატებით შეასრულეს.

ფოტო მ. ტარასოვისა და ს. კოროტკოვისა.

ლენინურ შრომითს ვაჯგუნე

# აფხაზეთის მეჩაიეთა სიტყვა და საქმე

ხუთწლედის მესამე წლის სამეურნეო მოცულობების სასახელოდ შესრულების მიზნით აფხაზეთის მრავალი კოლმეურნეობა და საწარმო გამოვიდა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და მნიშვნელოვანი წარმატებებიც არის მოპოვებული. ეს განპირობა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც გაჩაღდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ამ შეჯიბრებაში პირველი შრომითი გამარჯვება სახელოვანმა მეჩაიეებმა მოიპოვეს. მათ სამშობლოს უპატაკეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება. მიმდინარე წლის 30 სექტემბრისათვის **მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 36.849,5 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36.835 ტონისა.**

მეჩაიეთა ეს წარმატებები მიღწეულია პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის უნარიანად მოწყობის შედეგად. ისინი საქმიანად ჩაუდგნენ სათავეში კომუნისტების, კომკავშირელების, ჩაის ფერონტის ყველა მებრძოლის ლაშქრობას მეტი ჩაისათვის.

მეჩაიეებმა გადალახეს ხანგრძლივი გვალვით გამოწვეული დიდი სიძნელეები, რის გამო საგრძნობლად გაჭიანურდა ბუჩქების ვეგეტაცია. მაგრამ მიღებულმა პრაქტიკულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს ჩამორჩენის გამოსწორება და წარმატების მოპოვება.

როცა გეგმის შესრულების ბედი წყდებოდა ჩაის პლანტაციებში, კომუნისტების ინიციატივით სექტემბერი გაბოლოდ მოცხადებულ იქნა დამკვრელურ თვედ. ყველანი შრომობენ ერთი. მოსწრაფებით, ერთი დევიზით: „ბებერიც და პატარაც ვალდებულებაა“.

ამ ძნელ ლაშქრობაში გეგმის შესრულება სამშობლოს პირველებმა გალის რაიონის (პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ქავთარაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ეზუგბაია, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. აბლოთია) მეჩაიეებმა უპატაკეს. ისინი აფხაზეთის მთელი გეგმის ნახევარზე მეტს იძლევიან. მათ 1 ოქტომბრისათვის **სახელმწიფოს მიეყიდეს 21.149,8 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 19.935 ტონისა.** გალელებმა ნაკისრი ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს — სამშობლოს მისცეს 1.214 ტონა „მწვანე ოქრო“.

გალის რაიონის შემდეგ დავალება ვადაზე ადრე შესრულეს გუდაუთის რაიონის მეჩაიეებმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ტანია, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ზუხბა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ბებილანძე). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გუდაუთის რაიონში ჩაის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 4.700 კილოგრამს მიაღწია.

ოჩამჩირის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები ამ დღეებში ჩაის ფოთოლს გეგმის გადამეტებით კრეფენ ნაკისრი ვალდებულების ანგარიშზე. სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველომ“ ჯერ კიდევ 15 სექტემბრისათვის მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 2.146 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.145 ტონისა, მათ ვალდებულება იკისრეს გეგმის ზევით სამშობლოს მისცენ 500 ტონა ჩაის წიდლეული. ისინი ამ ვალდებულებას ამ დღეებში შეასრულებენ.

წლიური გეგმები ვადაზე ადრე გაანაღდეს და ამჟამად ზეგეგმითს ნედლეულს აბარებენ სახელმწიფოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის, სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები, გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის, ჩხოროთოლის ბარათაშვილის სახელობის, მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობები, გალის ჩაისა და მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინი“ და სხვ.

ჩაის უხვი მოსავლისათვის გაშლილ შეჯიბრებაში თავი ისახელეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კ. ფიფია, ნ. ხაგუში, დ. თარბა, გ. ქანია, ი. ეკანია, შ. შულუმბა, ხ. შონია გ. სირგინავა და სხვ.

თავდადებით შრომობენ მეჩაიე ნოვატორები. ისინი ათასობით არიან. მაგრამ ჩვენ რამდენიმეს დავასახელებთ. აფხაზეთის ფარგლებს გარეთაც კარგად არიან ცნობილი სოციალისტური შრომის გმირი მარია ადლეიბა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — ლუსია გამსახურდია და ხვეტლანა ავრამა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — ცაცა ჭარდავა და დიმიტრი ხუფორია, აგრეთვე თათუშა ბობუა, ალექსანდრა ჯოუბა, გულნარა ვოკუმბია, ჭინნია კოკაია, სონია საკანია, მარია არძინბა, კომკავშირელი მეჩაიეები — ზ. ხურცილავა, კ. თარკილი, მ. გობეჩია, რ. ღურწკაია, ბ. მიშჩენკო.

აფხაზეთის მეჩაიეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ბ. კობაბია,
საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

□

## გალელმა მეჩაიეებმა ვალდებულება შეასრულეს

ამა წლის 17 სექტემბრისათვის გალის რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 19.945 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 19.935 ტონისა და ვალდებულება იკისრეს, რომ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემდნენ 1.200 ტონა ჩაის ნედლეულს.

გალელმა მეჩაიეებმა სიტყვა არ გატეხეს და 1 ოქტომბრისათვის ვალდებულება გაანაღდეს. **მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 1.214 ტონა** ჩაის ფოთოლი. გალელები კვლავ განაგრძობენ ჩაის ფოთლის კრეფას.

## გეგმის გადამეტებით—100 ტონა ჩაი

წელს დაძაბულად იშრომეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა. მიუხედავად მეტად არახელსაყრელი ამინდისა, ბესლახუბელებმა უზრუნველყვეს ჩაის კრეფის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ჯერ კიდევ 15 სექტემბრისათვის მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 522 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 520 ტონისა და ახლა წარმატებით შრომობენ იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ჩაის ნედლეული.

უ. ჟუჩუბერია,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

**215.000 ტონა ჩაისათვის**

## მოსკოვში ჩამოვიდა ირლანდიის პრეზიდენტ-მინისტრი

**მოსკოვი**, 1 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ირლანდიის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ირლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტ-მინისტრი, ირლანდიის არმიის მთავარსარდალი გენერალი ჰასან ალ-ამრი.

ირლანდიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე საპატიო სტუმრის შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სხვა ოფიციალური პირნი.

## მოლაპარაკება კრემლში

1 ოქტომბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და მოსკოვში ჩამოსული ირლანდიის არათა რესპუბლიკის პრეზიდენტ-მინისტრის ჰასან ალ-ამრის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრულ, გულახდილ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის მდგომარეობის, საბჭოთა კავშირ-ირლანდის ურთიერთობისა და ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ, აგრეთვე სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხებზე. (საკადესი).

## მზადება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისათვის

**ბუდაპეშტი**, 30 სექტემბერი. (საკადესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს აქ გაიხსნა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის სხდომა.

მოსამზადებელი კომისიის სხდომაში მონაწილეობენ პარტიების წარმომადგენლებმა ცნობად მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინფორმაცია კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისათვის მზადებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობის შესახებ და შეუდგნენ დღის წესრიგში დასმული საკითხების განხილვას.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

1 ოქტომბერს მოსკოვიდან ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXIII სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

იმავე დღეს ნიუ-იორკში გაფრინდნენ უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგაცია უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ზ. ბელოკოლოსის მეთაურობით და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაცია ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ე. გურინოვიჩის მეთაურობით. (საკადესი).

## მაღალნაყოფიერი გავხადოთ მილიონობით ჰექტარი მიწა

**მოსკოვში** დამთავრდა თათბირი, რომელიც მოიწვია სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ. თათბირმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება მიწების ნაყოფიერების ზრდის პროგრამა, რომელიც მიიღო ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა **ე. ი. ალექსიევმა**, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრებმა და მთავარი სამმართველოების უფროსებმა. მათ აღნიშნეს, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც დიდი მოწონებით შეხვდნენ ამ პროგრამას, გამალეს მუშაობა მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის. 1965-68 წლებში სოფლის მეურნეობა იღებს 3,2 მილიონ ჰექტარ ახალ მელიორირებულ მაღალნაყოფიერ მიწებს. წარმოებს სამუშაოები წყლით უზრუნველყოფის გაზრდისათვის, დამლაშებულის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამოსაშრობი ქსელის დაგეგმვისა და რეკონსტრუქციისათვის. ამ საქმეთაოთა მოცულობა მეოცავა 1,8 მილიონ ჰექტარ ფართობს.

ამ ბოლო წლებში სწრაფი ტემპით გაიზარდება მიწების მელიორაცია. ახალი მიწების, წყალთა მეურნეობის მშენებლობისა და მათი ათვისებისათვის კაპიტალური დაბანდებს ამ წლებში 60 პროცენტით გაიზარდა. გაფართოვდა და განმტკიცდა წყალთა მეურნეობის სამშენებლო ორგანიზაციები, იქმნება მძლავრი საწარმოო ბაზა.

ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა შესაძლებლობა, რომ ბრიგადის, მარცვლისა და ბამბის რაიონებში დაწყებულიყო დიდი მშენებლობები.

გაუმჯობესდა მელიორირებული მიწების გამოყენება უპირატესად ბამბისა და ბრინჯის ზონებში. ამავე დროს მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით მარცვლეულის რაიონებში, მოსავლიანობა ასეთ მიწებზე კვლავ დაბალია. თათბირზე მოიყვანეს მონაცემები, რომ მელიორირებულ მიწებს ცუდად უზრუნველყოფენ მინერალური სასუქებით.

თათბირზე სერიოზულად გააკრიტიკეს აგრეთვე წყალთა მეურნეობის ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ისეთი ნაკლოვანებანი, როგორიცაა სუსტი მომთხოვნელობა სამშენებლო ორგანიზაციებისადმი და ამის შედეგად სამუშაოთა ცუდი ხარისხი მთელ რიგ ობიექტებზე, კაპიტალდაბანდების დაქსაქსვა და მშენებლობის ვადების დარღვევა; მოძველებულ ტექნიკურ გადაწყვეტათა გადაუსიხვევ გავიანტრება, აგრეთვე ახალი მიწების ათვისებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ჩამორჩენა.

მელიორაციისა და ირიგაციის შემდგომი განვითარების, აგრეთვე 1969 წლის გეგმების საკითხებზე თათბირის მონაწილეებს ესაუბრნენ ამხანაგები **ა. ნ. კოსიგინი** და **დ. ს. პოლიანსკი.**

## საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

**1 ოქტომბერს** მოსკოვში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს III პლენუმი. დღის წესრიგშია სამი საკითხი: პროფკავშირთა მონაწილეობა სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში; პროფკავშირულ კადრებთან და აქტივთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი; 1969 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **გ. ა. კირილინმა.** (საკადესის კორ.).

## ირანის შაჰინშაჰი სსრ კავშირში

**ნოვოსიბირსკი**, 30 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ვლადივოსტოკიდან ნოვოსიბირსკში ჩამოვიდა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი.

**ნოვოსიბირსკი**, 1 ოქტომბერი. (საკადესი). ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, რომელიც ნოვოსიბირსკში იმყოფება, დღეს ეეცნობოდა ქალაქს.

ირანის სახელმწიფოს მეთაური ეწვია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების აკადემიურ ქალაქს. განყოფილების თავმჯდომარე აკადემიკოსი **მ. ა. ლავრენტიევი** ესაუბრა მას ციმბირის მეცნიერთა ნაშრომებზე.

შაჰინშაჰი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში, აგრეთვე ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში.

იმავე დღეს ნოვოსიბირსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა გამართა საუზმე ირანის შაჰინშაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ შაჰინშაჰის თანმხლები ირანის სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხ. ართეხინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. მ. ვინოგრადოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი ირანში ვ. ი. ეროფეევი და სხვა ოფიციალური პირები.

1 ოქტომბერს შაჰინშაჰი სპეციალური თვითფრინავით ერევანში გაემგზავრა.

## ირანის შაჰინშაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის თბილისში ჩამოსვლის გამო



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი.

ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი დაიბადა 1919 წლის 26 ოქტომბერს თეირანში. განათლება მიიღო ირანში და საზღვარგარეთ. დამთავრა თეირანის სამხედრო სკოლა და ოფიცერთა სასწავლებელი. რამდენიმე წელს სწავლობდა შვეიცარიაში. ტახტზე ავიდა 1941 წლის სექტემბერში.

ირანის კონსტიტუციით შაჰს აქვს ფართო უფლებამოსილებანი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დარგში, არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

ირანის სახელმწიფოს მეთაური ოფიციალური ვიზიტით ორჯერ ყოფილა საბჭოთა კავშირში — 1956 და 1965 წლებში.

ამ ბოლო წლების მანძილზე ირანში შაჰის ხელმძღვანელობით განხორციელდა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების — მეხუთე მრეწველობის შექმნის, მიწის რეფორმის განხორციელების ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებს მემამულეთა მიწათმფლობელობის შეზღუდვას. მოხდა ტყის, საძოვრებისა და წყლის რესურსების ნაციონალიზაცია, უმჯობესდება ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, წარმოებს ბრძოლა უწიგნურობასთან და დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნული კადრების, კერძოდ, ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების მომზადებას. ირანელ ქალებს აქვთ პოლიტიკური უფლებანი, და ისინი იწყებენ მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საერთაშორისო ასპარეზზე ირანი იღებს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისათვის, ქვეკვის 1954 წლის შეთანხმებათა საფუძველზე ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებისათვის, ვიეტნამელი ხალხის უფლებისათვის თვითონ წყვეტდეს თავის ბედს გარედან ჩაურევლად, არაბთა სახელმწიფოებს ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისათვის.

საბჭოთა კავშირ-ირანს ურთიერთობა წარმატებით ვითარდება. ხორციელდება ფართო ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, იხრდება ვაჭრობა, მტკიცდება კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობა. საბჭოთა კავშირი ეხმარება ირანს მისი ინდუსტრიის პირმშოს — მეტალურგიული ქარხნის, მანქანათმაშენებლო საწარმოს, ტრანსირანული გაზსადენის, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ეროვნული ეკონომიკის მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში.

ირანის შაჰინშაჰი დიდ როლს ასრულებს ირანისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაში.

მიესალმება რა ჩვენს ქვეყანაში ირანის სახელმწიფოს მეთაურის ჩამოსვლას, საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ რწმენას, რომ ეს გიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. (საკადესი).

## წითელწყაროელ მევენახეთა წარმატება

**საუბარი პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანთან ამბ. ა. გონაშვილთან**

— **წითელწყაროს** რაიონის მშრომელები, რომლებიც ჩაბმული არიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ-ახალ წარმატებებს უპატაკებენ სამშობლოს, — განაცხადა „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელთან საუბარში პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ამბ. ა. **გონაშვილმა.** განსაკუთრებით აღსანიშნავია რაიონის მევენახეთა თავდადებული შრომა.

წითელწყაროელმა მევენახეებმა განახორციელეს ქმედითი ღონისძიებები და უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გადიდდა ვენახის ფართობები და ყურძნის მოსავლიანობა. სოფლის მეურნეობაში ძირითადი კულტურის — მარცვლეულის წარმოებასთან, მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად ზზა გაიკაფა მევენახეობამ, და სასიხარულო შედეგებიც არის. კახეთის სხვა რაიონების მხარდამხარ წითელწყაროელები ენერგიულად იბრძვიან ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

ახლა მევენახეებს ბარაქიანი როველი აქვთ გაჩაღებული. 1 ოქტომბრისათვის პირველებმა გადაკარებებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 7.800 ტონაზე მეტი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.000 ტონისა, დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლების ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანის, საბათლოს, წითელწყაროს ლენინის სახელობის, ორჯონიკი

# პირველი დღე

## რეპორტაჟი

ქირურგელები, ეს სიტყვა ახლა საკმაოდ პოპულარულია ჩვენში. ისინი შეადგენენ საქართველოს ჩარხმშენებლობის პირმშოს — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მრავალრიცხოვან არმიას, რომელმაც ამ საწარმოს არა მარტო სხრკავშირში, არამედ უცხოეთის 40-მდე ქვეყანაშიც გაუთქვა სახელი. ქარხანა აშენებს სერიულ სახარატო ხრახნმჭრელ „163“ მოდელის ჩარხებს და მილდამამუშავებელ სპეციალურ ჩარხებს მეტალურგიული, ქიმიური და ნავთობის მრეწველობისათვის.

კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი ხუთწლედის მოწინავე ხაზზეა. მან წარმატებით შეასრულა ხუთწლედის ორი წლის დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. მარტო შარშან და მიმდინარე წლის რვა თვეში კიროველებმა საზღვრისპირას მისცეს 3 მილიონი მანეთი მოგება.

ვინ იცის, ეს მაჩვენებლები რამდენად დამალი იქნებოდა, კიროველებს სწავლა რომ არ უყვარდეთ. 26 კომუნისტი, ავრეთვე ბევრი უპარტიო ადამიანი წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. რამდენიმე ასეული კომკავშირელი კი ცოდნას ეზაფება მუშა-ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ტექნიკუმებსა და ინსტიტუტებში.

მაგრამ ქარხნის მშრომელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი. გუშინ აქ 412 კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი შეეხვა სწავლას პოლიტიკური განათლების ყველა რგოლში. ჩვენ ერთ-ერთი მათგანის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების შემსწავლელი სემინარის მეცადინეობას დავესწარით. დღის 5 საათისათვის ქარხნის **დირექტორის, პროპაგანდისტის შ. ჩიქოვანის სამუშაო ოთახში შეიკრიბა უკლებლივ ყველა 25 მსმენელი, რომლებიც აქ სამუშაოს დამთავრებისთანავე პირდაპირ თავიანთი სამუშაო უნაგრიდან მოვიდნენ.** ვინ არ იყო აქ: ინჟინერები, კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, განყოფილებების და სექტორების უფროსები... მართალია ისინი უშუალოდ არ აქმნიან მატერიალურ დოვლათს, მაგრამ წინ სწევენ ტექნიკურ აზრს და სრულყოფენ წარმოებას.

მსმენელთა დიდი უმრავლესობა კომუნისტია. ყველა მათგანს უმაღლესი განათლება და მშობლიური საწარმოში მუშაობის ხოლიდური სტაჟი აქვს. აი ზოგიერთი მათგანიც: ქარხნის ტექნიკური სწავლების განყოფილების უფროსი მ. სააკიანი, ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის მოადგილე **გ. დავითაშვილი,** სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინერი ვ. ბენდუქიძე, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე ო. მენთეშაშვილი, ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი ვ. ჩერნომორეცი, სამეცნიერო საამქროს მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი ს. ივანოვი და სხვები. კომუნისტმა მ. სააკიანმა, რომელსაც ამ ქარხანაში მუშაობის 32 წლის სტაჟი აქვს, განავლო გზა რიგითი მგეზმავიდან განყოფილების უფროსამდე.

„სოციალიზმის ეკონომიური კანონების შეცნობა და გამოყენება—სახალხო მეურნეობისადმი მეცნიერული ხელმძღვანელობის საფუძველია“ — ასეთი იყო პირველი მეცადინეობის თემა. მაგრამ პროპაგანდისტმა შ. ჩიქოვანმა ამ ჩარჩოებში მეცადინეობის გარკვეული ნაწილი დაუთმო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს სოციალიზმის მშენებლობაში.

საუბარი თავიდან ბოლომდე კარგად წარიმართა.

პროპაგანდისტმა შ. ჩიქოვანმა, რომელიც რამდენიმე წელია კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორად მუშაობს და კარგი საშეურნეო ხელმძღვანელის სახელი დაიმსახურა, თემის ღრმად ცოდნით, ფაქტებისა და მოვლენების დამაჯერებლად გადაცემით მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ცხადდა მსმენელთა შეკითხვებმა და გამოსვლებმა, რომლებშიც სრანდა წარმოების ბედისათვის ზრუნვა.

ბოლოს პროპაგანდისტმა მსმენელებს მიუთითა პირველი თემის დამამარე ლიტერატურაზე რამდენიმე კაცმა სურვილი გამოთქვა მორიგი მეცადინეობისათვის, რომელიც მომავალი თვის პირველ ოთხშაბათს

**კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი ხუთწლედის ორ წლის დავალებას ადრე ასრულებს**

**ოზილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა. პირველი მეცადინეობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების შემსწავლელ სემინარში.**

ფოტო **ვლ. ბინზაბურგისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგება, მოამზადონ მოხსენებები ცალკეულ ქვეთემებზე.

სემინარული მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ქარხნის პარტკომის მდივანს გ. ბიბილეიშვილს და სემინარის ერთ-ერთ მსმენელს **გ. დავითაშვილს.** აი რა თქვეს მათ:

**გ. ბიბილეიშვილი:** — ასორცილებს ეს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სრულყოფს რევოლუციური თეორიის პროპაგანდის ფორმებსა და მეთოდებს. აჩის შედეგად კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტთა პოლიტიკურ ცოდნა უფრო სტამლური გახდა, ამაღლდა მათი ავანგარდული როლი.

ამ წელს — ლენინური სწავლების წელიწადს — განსაკუთრებით გულმოდგინებით მოეკიდებიდეთ პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის. შევქმენით 11 პოლიტსკოლა და 4 სემინარი მსმენელთა ცოდნის დონისა და სურვილის გათვალისწინებით. პროპაგანდისტებად მუშამობდნენ მომზადებული, უნარიანი ადამიანები, მათ

**ბ. ბუაკაძეიშვილი,** ქარხნის [illegible] მუშაკი. წელს ფართოდ [illegible] სწავლებენ ბევრ აქტიურ ფორმას. მეზრომელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ პოლიტიკური ეკონომიისადმი, განსაკუთრებით კა[illegible] ინტერესებს [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული

# საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები



მსოფლიოს დეკემბრისტ საქართველოები მვეტყობინებენ ეროვნული ბიბლიოთეკა


# ხელახლა იქმნება კომპარტია

ბეიჯინი, 1 ოქტომბერი. (საკადესი). ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო რაიონია, ხელახლა შეიქმნა კომუნისტური პარტიის სამხარეო ორგანიზაცია. ამ მხარის კომუნისტებმა მხარეს დუსელდორფში ახლად შექმნილი კომპარტიის ფედერალური კომიტეტის მოწოდებას ხელახლა შექმნან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თავიანთი ადგილობრივი ორგანიზაციები.

განცხადებაში, რომელსაც ხელი მოაწერა 37 კაცმა, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ხელახლა შექმნილი კომპარტიის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს „ქტალურ საკითხებს, რომ რაინის სამრეწველო რაიონსა და რურში მოქმედებდეს ძლიერი კომპარტია, რომელიც განახორციელებს ახალ პოლიტიკას სოციალური პროგრამისა და ნამდვილი დემოკრატიის მისაღწევად. „ამრიგად, — ნათქვამია განცხადებაში, — ჩვენი მხარის მშრომელებს ეყოლებათ პოლიტიკური პარტია, რომელიც მათი ინტერესების წარმომადგენელად იქნება, და მათს სოციალურ, ეკონომიურ და დემოკრატიულ მოთხოვნებს დაუკავშირებს ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზანდასახულობას სახელმწიფოსა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის“.

სამხრეთ კომიტეტი ატყობინებს, რომ დაიწყო საკუთარი პროგრამის შემუშავება, რომელსაც დაუპირისპირებს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ახლადდილი მთავრობის პროგრამას.

სამხარეთ კომიტეტი იწონებს ფედერალური კომიტეტის განცხადებას, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა მაინის ფრანკფურტში, და მოუწოდებს „ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ყველა კომუნისტს, სოციალისტს და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდა თაობას მხარი დაუჭირონ ხელახლა შექმნილ კომუნისტურ პარტიას“.

მისი რეკომენდაციაა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ყველა ქალაქში, სათვისტომოსა და საწარმოში შექმნან „კომუნისტური პარტიის ადგილობრივი და სოფლიერიკო-საქარხნო კომიტეტები“.

*საბერძნეთი*

## მუქარისა და ტერორის პროგეგეში

ათენი, 30 სექტემბერი. (საკადესი). აქ გამოქვეყნდა საბერძნეთში 29 სექტემბერს გამართული კონსტიტუციის რეფორმის შესახებ ეგრეთწოდებული „რეფერენდუმის“ შედეგები. „რეფერენდუმის“ შედეგი წინასწარვე გადაწყვეტილი იყო ძალადობის პირობებთან, ოპოზიციის ეფიარებაში. შეგახსენებთ, რომ ერთ წლამდე პატიმრობას მიუსაჯიდნენ იმას, ვინც არ გამოცხადდებოდა საარჩევნო ურნებში. 6,5 მილიონ ბერძენს უნდა მიეღო მონაწილეობა კენჭისყრაში „ახალი კონსტიტუციის“ გამო, რომელმაც უნდა დაანგნოს სამხედრო ხუნტის რეჟიმი.

„ამომრჩეველთა 92,2 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცეს რეფერენდუმზე. ხუნტის ოფიციალური წარმომადგენლები ახლა ამტკიცებენ, რომ ხალხმა „ნდობა გამოუცხადა“ მთავრობას. მაგრამ ხალხის ნების წინააღმდეგ მკაცრი ტერორისა და ძალადობის პირობებშიც ამომრჩეველთა 22,3 პროცენტი არ მივიდა საარჩევნო ურნებთან და 390 ათასზე მეტმა მონაწილემ უარყო „ახალი კონსტიტუცია“. ეს დამაჯერებლად ცხადყოფს ბერძენი ხალხის მზარდ წინააღმდეგობას ხუნტის დიქტატორული რეჟიმისადმი. მის პოლიტიკას დემოკრატიულ თავისუფლებათა ჩახშობის, პოლიციის რეპრესიების წინააღმდეგ.

## ყალბი რეფერენდუმი

ლონდონი, 1 ოქტომბერი. (საკადესი). „ამომრჩეველებმა, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს კენჭისყრაში, იმის რისკი გასწიეს, რომ მიუსაჯონ ერთ წლამდე პატიმრობა, დაკარგონ მოქალაქეობრივი უფლებანი, სამუშაო, თუ ისინი მუშაობდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში“, — წერს დღეს გაზეთი „მორნინგ სტარი“, რომელიც განმარტავს სამხედრო ხუნტის მიერ მოწყობილ ეგრეთწოდებულ რეფერენდუმს. „მაგრამ, წერს გაზეთი, ხუნტის მიერ მოყვანილი მონაცემებიც ამომრჩეველთა თითქმის მეოთხედმა — 22,3 პროცენტმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში“, ხოლო „ამომრჩეველთა 7,3 პროცენტმა პოლიციის თვალწინ ხმა მისცა ხუნტის წინააღმდეგ“. „თუ მხედველობაში მივიღებთ საბერძნეთში გაბატონებული ტერორის პირობებს, იმ ფაქტს, რომ ოპოზიციური პარტიების მრავალი ხელმძღვანელი მოღალატე ან გადასახლებულია, ან პატიმრობაშია, ეს 30 პროცენტი — საერთო რიცხვი ამათი, ვინც თავი შეიკავა და ხმა მისცა წინააღმდეგ, საოცრად დიდი ვეფიდენტია“. — წერს „მორნინგ სტარი“.

*ვიეტნამი*

## პატრიოტები უტევენ აგრესორებს

ჰანოი, 1 ოქტომბერი. (საკადესი). განთავისუფლების სახალხო არმიის რაზმებმა, რომლებიც მოქმედებენ სამხრეთ ვიეტნამის სამ ცენტრალურ პროვინციაში — კუანგნამის, კუანგნგისა და ფიალაის პროვინციებში, 2-დან 25 სექტემბრამდე მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 500-მდე ჯარისკაცი.

ამავე პერიოდში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების სააგენტოს, მათ ჩამოაგდეს და აეროდრომებზე მოსპეს 13 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, 11 სამხედრო ავტომანქანა და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

ამერიკელი აგრესორები ბომბავენ ჩრდილოეთ ვიეტნამის ქალაქებსა და სოფლებს, ნანგრევების გროვად აქცევენ სკოლებს, საავადმყოფოებს, კლავენ სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებლებს. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები ვერ გატეხენ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის ნებისყოფას იბრძოლონ სამშობლოს თავისუფლებისათვის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მებრძოლები საკადრის პასუხს აძლევენ აგრესორებს, იმალებენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას.

სურათზე: საბრძოლო მომზადების მეცადინეობა ვიეტნამის სახალხო არმიის ერთ-ერთ საარტილერიო ქვეგანაყოფში.

ფოტო ვია — ახალი ამბების სააგენტოსი.

## ვარშავა ეცნობა ფიროსმანს

ვარშავა, 30 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ვარშავის ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა შესანიშნავი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა.

მხატვრის 63 სურათთან ერთად გამოფენილია ხალხური ხელოვნების ნიმუშები: კერამიკა, ქსოვილები, ლითონის ნაკეთობანი, ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილი თოჯინები, აგრეთვე სხვა ოსტატთა ნაწარმოებები, რომლებიც აშუქებენ ქართული ხელოვნების განვითარებას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე.

„ფიროსმანაშვილის შემოქმედება, — თქვა პრეს-კონფერენციაზე გამოფენის გახსნის წინ საქართველოს სსრ თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა პროფესორმა შალვა ამირანაშვილმა, — მკვეთრად განსხვავდება მაშინდელი ქართველი მხატვრებისა შემოქმედებისაგან. მან შექმნა საკუთარი, ინდივიდუალური გამოსახვითი ენით საშუალებების სისტემა, შესანიშნავად გრძნობდა და გადმოგვცა ქართული ამქვეყნიერის სპეციფიკა და ხასიათი. ამ მხატვრის თვითმყოფადი ნიჭი ქართული კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა“.

ზეიმს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ა. ბ. არისტოვი.

*ბელგია*

## ბელგიელ ბავშვთა ეროვნული ანსამბლი

ბრიუსელი, 30 სექტემბერი. (საკადესი). ბელგიელ ბავშვთა ეროვნული ანსამბლი ბრიუსელში ორ კონცერტს გამართავს. ანსამბლი ბელგიის ეროვნული ფოლკლორის ანსამბლებს ეროვნული ცეკვებისა და სიმღერების ანსამბლ „ბელგიელ ბავშვებს“ ეწვევა.

*ბულგარეთი*

## ბულგარეთ-ალბანეთ ურთიერთობა

სოფია, 30 სექტემბერი. (საკადესი). ბულგარეთ-ალბანეთ ურთიერთობა ბულგარეთ-ალბანეთ ურთიერთობა ბულგარეთ-ალბანეთ ურთიერთობა

ИЦНОБДЕТ, ЩВЕНИ თანამემამულეა

# მშენებელი ტაიგაში

თავს იგრძნობთ ლამაზ ზღვაპარში!..

...ტაიგაში ხართ. მიწა გაყინულია. თქვენს წინ არის პატარა ფაბრიკა, ალმასების გამამდიდრებელი. მის ახლომახლო ხის დროებითი სახლებია. გავა ხანი, აღიმართება ცათამბჯენები. კოშკისებური ლამაზი სახლები შეეთოდებიან გადასასვლელი დერეფნებით, ეს სახლები და დერეფნები დაფარავენ კილომეტრებს. ამ სახლ-ქალაქში იცხოვრებს 5,5 ათასი ადამიანი.

აიხალა — ეს სახელი უკვე გამოუნახეს იაკუტებმა ქალაქს, რომელიც მხოლოდ პროექტში არსებობს და ხვალ დაიბადება. აიხალა დიდებას ნიშნავს მათს ენაზე. მონრეალში მისმა პროექტმა ყველა გააოცა. ეს იქნება ალმასების ძალაქი — მეოცე საუკუნის საოცრება. საბჭოთა ორიგინალური, როგორიც ჯერ არსად არ არის. და თავს იგრძნობთ ლამაზ ზღვაპარში.

ვინ ააშენა, ვინ შექმნა ეს საოცრება? მან ხომ უნდა დაუტოვოს შთამომავლობას ავტორების სახელი! იგი იაკუტიის ალმასების მოპოვების მრეწველობის საკავშირო-საკავლეო საპროექტო ინსტიტუტის პირშოა. ინსტიტუტი იაკუტიაშია, ქალაქ მირნში. მისი დირექტორი ქართველი კაცია — ჩრეკი გოგელაური.

ვინც 1951 წელს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, მან იცის, ვინ არის გივი გოგელაური! მას ჰქონდა ყველაზე მალალი სახელობითი სტიპენდია, თამაშობდა ჭადრაკს, ადიოდა მწვერვალებზე, ცურავდა, თამაშობდა ფრენბურთს, ხელმძღვანელობდა სამთო ფაკულტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას...

ის ასპირანტურაში დასატოვებლად მოამზადეს მეცნიერებმა. გივი არ დარჩა ასპირანტურაში. თავისი მეცნიერული ჩანაფიქრი გადადო, შეიძინა თქმის ჩექმები, ბეწვიანი ბლილი ქუდი, ჯუბა და თბილი ხელთათმანები... გივი წავიდა იაკუტიაში.

მაგადანი იყო მისი პირველი მასპინძელი. და მივიდა სტუმარი მასპინძელთან დიდი ოცნებით.

ოცნება ადამიანივით არის. ჯერ პატარაა, მერე იზრდება, ვაჟკაცდება. გივიმ მოიტანა თავისი ოცნება ტაიგაში — ემუშავა ოქროს და კალის საბადოებში.

მაგადანი.

ოცდაათიან წლებში დაიწყეს აქ ოქროს დამუშავება. 1939 წელს დაარსდა იგი როგორც ქალაქი. 1964 წელს 25 წლისა გახდა.

1951 წელს მაგადანის კალის საბადოებში ერთ-ერთი სამთო ოსტატი იყო ახალგაზრდა თბილისელი ინჟინერი. მას ჩაჰყავდა 150 კაცი მიწის ქვეშ ორას მეტრ სიღრმეზე. შემდეგ თბილისელ ინჟინერს უბნის უფროსს უწოდებდნენ, შემდეგ მთავარი ინჟინრის მოადგილეს, შემდეგ საბადოს დირექტორს.

კალა ადრე უცხოეთიდან შემოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში. ახლა კი უკვე საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა საკუთარი დიდი საბადო და იქ ერთი თბილისელიც მუშაობდა. იგი კომბინატის მთავარი ინჟინერი გახდა, კომბინატი კი უკვე რამდენიმე საბადოს აერთიანებდა.

ადამიანი არ იბადება გმირად— ადამიანი თვით ხდება გმირი. ამისათვის საჭიროა შეუპოვრობა, მისწრაფება, ამტანობა. 1960 წლამდე კალის საბადოების დირექტორი იყო გივი გოგელაური, რომელიც არც გმირად დაბადებულა და არც გენიოსად, მაგრამ მას დაჰყვა შეუპოვრობა, ამტანობა, დიდი მისწრაფება.

ახლა მას გულმა ალმასების წარმოებისაკენ გაუწია!

მთავარია ჭეშმდეს მიზანი, და თუ ეცდები, კიდეც მიაღწევ. მიზანი ქმნის და აყალიბებს ხასიათს. მას ვერაფერი დაუდგება წინ. ალმასების საბადო იყო ის დიდი მიზანი, რომელმაც ვერ შეაჩერა ადამიანი დარჩენილიყო კალის კომბინატის დირექტორად. ეს იყო ის მიზანი, რომელმაც წაიყვანა იგი დასავლეთ იაკუტიისკენ, მდინარე ვილუის აუზისაკენ, სადაც არაფერი არ იყო გარდა რამდენიმე კარვისა და ერთსართულიანი სახლისა, სადაც 1957 წლიდან იღებდნენ ბუნებრივად ჩამონგრეულ ნედლეულს, სადაც იდგა პატარა სეზონური გამამდიდრებელი ფაბრიკა და ხდებოდა ალმასების ელემენტარული დამუშავება.

იყო მხოლოდ მიზანი და გამჯდომი ხელები. და აშენდა ქალაქი. ქალაქში ცხოვრობს 28 ათასი კაცი, გარეუბნების ჩათვლით — 45 ათასი. ქალაქი კი მხოლოდ ხუთი წლისაა. აქ არის ალმასების მოპოვების კომბინატები და სახლობენ ალმასის მომპოვებლები, ქალაქს სახელად ჰქვია მირნი და იგი მხოლოდ 1963 წელს გაჩნდა რუკაზე. 1965 წელს აქ მწყობრში ჩადგა ალმასის გამამდიდრებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ფაბრიკა. ამ ქალაქის ასაშენებლად მოვიდა გივი გოგელაური და დაბინავდა კარავში. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ მირნი დაბადებულიყო. ის სამტონიან „ბელარუსზეც“ იჯდა და კილომეტრებს ფეხითაც დადიოდა. მას შეეძლო ყველაფერი აეტანა, ვიდრე ქალაქს აშენებდნენ. მას შეეძლო ყველაფერი აეტანა, რადგან ის ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ომი დაიწყო და ფრონტზე წავიდა მოხალისედ. მან იცოდა, რა არის სიკვდილი და სიცოცხლე, იცოდა, რას ნიშნავს ააშენო სიცოცხლისათვის ქალაქი. ქალაქ მირნის დამფუძნებელთა გვარებში ერთი ქართული გვარია — გივი გოგელაური.

მას მყავს ორი ვაჟი, მაგრამ ვფიქრობ, რომ მირნიც შვილად მიაჩნია, უყვარს და სურს იგი იყოს უფრო კარგი, უფრო თანამედროვე. აკი ამიტომაც გაამზადეს მირნის ახალი პროექტი! ახლა მისი განხორციელება ძნელი არ არის, როცა ქალაქში ცხოვრობს 28 ათასი ადამიანი. იგი, ისევე როგორც ათასი, აშენდება ადგილობრივი მასალებით, ცემენტის გამოუყენებლად.

იაკუტია არის დიდი მომავლის მხარე და იქ სწრაფად შენდება არათუ სახლები, არამედ ქალაქებიც. საპროექტო ინსტიტუტის დირექტორ გივი გოგელაურთან თუ მოხვდებით, ბევრ რამეს შეიტყობთ. შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ სრული სიმართლეა, რომ მირნის ჩრდილოეთით, სადაც ალმასის ახალი საბადოები აღმოჩნდა, აშენდება ქალაქი, რომელიც 4-ჯერ დიდი იქნება მირნზე და 10-ჯერ დიდი — აიხალაზე.

სამუშაო იმდენია, რომ ოთხი წლის მანძილზე გივის შვებულება არა ჰქონია. ის მხოლოდ წელს ჩამოვიდა თავის მშობლიურ ქალაქში. გივი დადიოდა საკვარელი თბილისის ქუჩებში. როცა ძალიან დაცხა, გივი მთაწმინდაზე ავიდა და საღამომდე დარჩა. ღამით შეიღლებს აჩვენა ვარსკვლავებად დანთებული მიწა.

მან დედულეთი მოინახულა და საქართველოს სამხედრო გზით ყაზბეგს ჩავიდა, სადაც ელოდა ჩოფიკაშვილების მამაპაპური სახლი. გზაზე უცხოელი ტურისტები შემოვდნენ და მეუღლესთან ერთად მათ თავიანთ ენაზე ესაუბრა.

ინსტიტუტი, რომელსაც გივი გოგელაური ხელმძღვანელობს, წარმართავს იაკუტიაში ძვირფასი ლითონების მოპოვების საქმეს. ინსტიტუტი ამუშავებს ამ ლითონების მოპოვებისა და გამდიდრების ტექნოლოგიას, იკვლევს და აზუსტებს მშენებლობის მოედნებზე ნიადაგის თვისებებს, პროექტებს ყველა სამოქალაქო და სამრეწველო შენობებს. იაკუტიას ინსტიტუტი ისე სჭირდება, როგორც წყალი და ჰაერი. იაკუტიას სულ მალე იქნება ახალენილი ზღვაპარი. ამიტომ არა სურს გივის მისი დატოვება.

ლია კაკაბაძე.

* * *

სურათზე: გ. გოგელაური.

## ნაირ-ნაირი

### ბ. ეაჩიტაძის შრომა გერმანულ ენაზე

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, დოცენტმა გიორგი მაჩიტაძემ მიიღო ბერლინის აკადემიის ბერლინულ-ჰომბოლტის ანტიკურთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალის „კლასიკური აღმოსავლეთის ბიბლიოთეკის“ რედაქტორის პროფესორ იოჰანეს ირმშერის წერილი. იგი ჩვენს თანამემამულეს სთხოვდა რედაქციისათვის გაეგზავნა თარგმანი თავისი შრომისა „პრინციპის პრობლემა არისტოტელეს კატეგორიოლოგიაში“.

გერმანელი პროფესორის ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ამ რამდენიმე დღის წინათ გიორგი მაჩიტაძემ მიიღო ბერლინის აკადემიის ბერლინულ-ჰომბოლტი ანტიკურთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალის „კლასიკური აღმოსავლეთის ბიბლიოთეკის“ რედაქტორის პროფესორ იოჰანეს ირმშერის წერილი. იგი ჩვენს თანამემამულეს სთხოვდა რედაქციისათვის გაეგზავნა თარგმანი თავისი ნაშრომისა.

## საბჭოთა პიანისტების წარმატება

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გრძელდება გამოჩენილი პორტუგალიელი კომპოზიტორისა და პიანისტის ვიან და მოტის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი. კონკურსში მონაწილეობენ მსოფლიოს 20 ქვეყნის მუსიკოსები. საბჭოთა პიანისტებმა — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა ვ. პოსტნიკოვამ და ფ. ბადალბეიანმ, ერევნის კონსერვატორიის სტუდენტმა რ. აივაზიანმა და თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლემ ნ. ჭირაკაძემ კარგ მოგზაურობა ჰქონდა. ეს ოთხი ნიჭიერი ადამიანი ერთ-ერთ ფინალურ ანსამბლში ერევა ინდოელ, ბრაზილიელ, ინგლისელ, ესპანელ, ბელგიელ, ბულგარელ, ფრანგ, ბერძენ